ბუღალტერთა მე-19 მსოფლიო კონგრესი



IFAC-ის ყოფილი პრეზიდენტის, უორენ ალენი

2014 წლის 10-13 ნოემბრის ჩათვლით იტალიის ქალაქ რომში ჩატარდა ბუღალტერთა მსოფლიო კონგრესი, რომელსაც იტალიის ბუღალტერთა და საბუღალტრო ექსპერტთა ეროვნულმა საბჭომ (CNDCEC) უმასპინძლა.

უცვლელად გთავაზობთ IFAC-ის ყოფილი პრეზიდენტის, უორენ ალენისა და ახლად არჩეული პრეზიდენტის, ოლივია კირტლის ერთობლივ მისასალმებელ განცხადებას:

„ბუღალტერთა საერთაშორისო კონგრესი მშვენიერი შესაძლებლობაა ჩვენთვის, კიდევ ერთხელ დავადასტუროთ, რომ წარმოვადგენთ გლობალურ პროფესიას და ვემსახურებით საზოგადოებრივ ინტერესებს მსოფლიო მასშტაბით. 100 ქვეყნიდან 4000-ზე მეტი პროფესიონალის კონგრესი ჩვენი პროფესიის გლობალური ბუნებისა და ურთიერთდაკავშირებულობის იდეალური დემონსტრაციაა.

კონგრესზე წარმოდგენილი იქნება მნიშვნელოვანი ტექნიკური პროგრამა, რომლის მიხედვითაც გამომსვლელები მთელი მსოფლიოდან შეეხებიან ყველა მნიშვნელოვან თემას, ჩვენი პროფესიისა და მისი მომავლის შესახებ.“

კონგრესში მონაწილეობა მიიღეს პროფესიის ლიდერებმა, რომელთა შორისაც იყვნენ კერძო ორგანიზაციებში, აკადემიებში, გლობალურ და ლოკალურ საწარმოებში და პროფესიულ ინსტიტუტებში დასაქმებული პირები. ასევე ათასობით ბუღალტერი, მარეგულირებელი, სტანდარტების დამდგენი და სხვანი, რომლებიც ორიენტირებულნი არიან მაღალი ხარისხის გლობალური საბუღალტრო პროფესიის შექმნაში.

კონგრესის ძირითად თემას სწორედ პროფესიის მომავალი წარმოადგენდა: „2020 წლის ხედვა: წარსულის შესწავლა, მომავლის შენება“.

კონგრესზე განხილული საკითხები:

1. **ბიზნესის განვითარება რთულ პერიოდში**

მომავლის ბიზნესებს სჭირდებათ ფინანსების პროფესიონალები, რომლებიც არა მხოლოდ ფაქტების ანალიზს ახდენენ. ფინანსური დირექტორები და მათი გუნდები განაპირობებენ ბიზნესის შედეგებს, ხელს შეუწყობენ კორპორაციული სტრატეგიის განვითარებას და ინოვაციებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას. ისინი ორიენტირებულნი იქნებიან ისეთი ორგანიზაციული სტრატეგიის შექმნაზე, რომელიც შეძლებს გაუძლოს ცვალებად ტექნოლოგიებს, სოციალურ მედიასა და წარუმატებელ ინოვაციებს.

მომხსენებლები:

კაროლ კალანდრა – ფინანსური დირექტორი EY Global LLP;
ტონი ჩანმუგამი – ფინანსური დირექტორი British Telecom Plc;
კენ გოლდმენი – ფინანსური დირექტორი Yahoo! Inc.;
საიმონ ჰენრი – ფინანსური დირექტორი Royal Dutch Shell Plc.

2. სახელმწიფო გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესება: გზა ეკონომიკური ზრდისკენ

მრავალ ქვეყანაში წარმოშობილმა ფინანსურმა არასტაბილურობამ განაპირობა გლობალური ეკონომიკური კრიზისი. IFAC-ის ახალი ინიციატივა მიზნად ისახავს საჯარო სექტორის ანგარიშგებისა და ფინანსური მენეჯმენტის გაუმჯობესებას. ანგარიშგების გაუმჯობესება არა მხოლოდ გლობალური ეკონომიკისა და ფინანსური მართვის გაძლიერების გზაა, არამედ აუცილებელი ინსტრუმენტია დემოკრატიის გაუმჯობესებისა და საჯარო სექტორების მიერ საზოგადოებრივი რესურსების გახარჯვის გამჭვირვალობისათვის.

მომხსენებლები:

იან ბოლი – თავმჯდომარე – Institute of Public Finance and Accountancy International;

თომას მიულერ-მარკეზ ბერგერი – საჯარო სექტორის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს წევრი; Public Sector Group-ის თავმჯდომარე;

იუ უეიპინი – ჩინეთის ფინანსთა მინისტრის მოადგილე;

რონ სალოლე – საჯარო სექტორის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

3. ინტეგრირებული აზროვნება: შედეგების გაუმჯობესებისა და ფასეულობის შექმნის გზა

ინტეგრირებული ანგარიშგება ინტეგრირებულ აზროვნებაზე დაფუძნებული პროცესია, რომელიც გულისხმობს პერიოდულ ინტეგრირებულ ანგარიშს, ორგანიზაციის მიერ ფასეულობის შექმნის შესახებ. კომპანიებს სჭირდებათ ანგარიშგების შესაბამისი გარემო, რომელიც შეძლებს მათი სტრატეგიისა და მდგომარეობის ადეკვატურ აღქმას.

მომხსენებლები:

ალესანდრო ბროდელ ლოპესი – ფინანსური დირექტორი ItauUnlbanco;

ნიკ ჰოლანდი – დირექტორი – Gold Fields;

თომას რასტერერი – ფინანსური დირექტორი – EnBW;

უორენ ალენი – პრეზიდენტი 2012-2014 - ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია.

ბუღალტერთა მე-19 მსოფლიო კონგრესში მონაწილეობდნენ საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციისა (ბაფი) და პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის წარმომადგენლები:

ბაფისა და ნიგერიის პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლები

ზურაბ ლალაზაშვილი – ბაფის გამგეობის თავმჯდომარე;
ლავრენტი ჭუმბურიძე – ბაფის აღმასრულებელი დირექტორი;
კონსტანტინე დათიაშვილი – ბაფის განათლების კომიტეტის თავმჯდომარე;
რევაზ ძაძამია – პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის დირექტორი;
მარინა რევაზიშვილი – პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის განათლების კოორდინატორი.

მსოფლიო კონგრესის მიმდინარეობის პერიოდში საქართველოს დელეგაციამ საქმიანი შეხვედრა გამართა ბრიტანეთის სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) წარმომადგენლებთან, კერძოდ შეხვდნენ ACCA-ის პრეზიდენტის მოადგილეს **ალექსანდრა ჩინს** და აღმასრულებელ დირექტორს **სტეფენ პესკოტს**. შეხვედრის ძირითადი თემები იყო:

1. ACCA-სა და ბაფს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულების განახლება;
2. პროფესიული სერტიფიცირების პროგრამის მესამე დონის წიგნების აკრედიტაციის საკითხი (პროფესიული სერტიფიცირების ქართულენოვანი პროგრამის ყველა (14) წიგნის ჩათვლის შესაძლებლობის განხილვა ACCA-ის ინგლისურენოვან პროგრამაში);
3. ACCA-ის მხარდაჭერა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის კონტროლის შემოწმების საკითხებში;
4. ACCA-ის ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტებისათვის ქართული საგადასახადო და ბიზნესსამართლის წიგნებში ჩაბარებული გამოცდების ჩათვლა.

ბაფის წარმომადგენლები და ACCA-ის პრეზიდენტის მოადგილე ალექსანდრა ჩინი და აღმასრულებელი დირექტორი სტეფენ პესკოტი

დღის ბოლოს ბრიტანეთის სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის მასპინძლობით გაიმართა საზეიმო ვახშამი.